დანართი №5

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის

ბიზნესის ადმინისტრირება

VIII დონე

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 5 აგვისტო, 2026 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 10 სექტემბერი, 2026 წელი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 3

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 10

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 14

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 24

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 33

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 36

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 48

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ლეკიშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ბიზნესის ადმინისტრირება
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Business Administration
უმაღლესი განათლების საფეხური	სადოქტორო, უმაღლესი განათლების III საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	18 თებერვალი, 2025 №262412 (გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი: 04 თებერვალი, 2025), მონიტორინგის ვადად განისაზღვრა ერთი წელი - 2026 წლის 04 თებერვლამდე.
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (მაგ.: უცხო ენის ფლობის დონე, კვლევის თეზისი/პროექტი, შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	პროგრამაზე სწავლის მსურველს მოეთხოვება: • მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში (ან „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალსიწინებულ ბიზნესისა და ადმინისტრირების ვიწრო სფეროში კლასიფიცირებულ მიმართულებებში), ან ეკონომიკაში; • ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. • შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები. 1. წერითი გამოცდა ინგლისურ ენაში, რომლის მიზანია კანდიდატის მიერ ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის შემოწმება; 2. გამოცდის წარმატებით გავლის შემდეგ, დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრება/გამოცდას სპეციალობაში, სადაც წარადგენს კვლევით პროექტს.

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად სადოქტორო ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით MES 6 25 0000292740 (18/02/2025) სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 04 თებერვლამდე. განისაზღვრა ერთი წლის შემდგომ მონიტორინგის მოთხოვნა. მეორე, მესამე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა სრული შესაბამისობით, ხოლო პირველი და მეოთხე სტანდარტები - მეტწილი შესაბამისობით. საბჭომ განსაზღვრა როგორც კლასტერული, ასევე ინდივიდუალური რეკომენდაციები და რჩევები. კერძოდ,

1. გადაიხედოს კურიკულუმის რუკა სწავლის შედეგების განვითარების თანმიმდევრულობის კუთხით;
2. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულიდან ცდომილების (უარყოფითი/დადებითი) რიცხობრივი მაჩვენებელი, რომლის შემთხვევაშიც მოხდება სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევის გზების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;
3. რეკომენდებულია, უსდ-მ ყურადღება გაამახვილოს სტუდენტებისთვის პრაქტიკული სწავლების კომპონენტის გაძლიერებაზე.
4. რეკომენდებულია, რეგულარული ტრენინგების ორგანიზება, რომელიც ორიენტირებულია აკადემიური განვითარების ხელშეწყობაზე შემდეგ მიმართულებებით: „სწავლების თანამედროვე მეთოდები“: „უახლესი პედაგოგიური ტექნიკების შესახებ“ პროფესორ-მასწავლებლების ინფორმირებულობის გაზრდისა და სწავლების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით; „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში და მისი მოდერნიზაცია“, რათა პროფესორ-მასწავლებლები გაეცნონ ხელოვნური ინტელექტის იმ ხელსაწყოებს, რომლებსაც შეუძლიათ სასწავლო გამოცდილების გაუმჯობესება და ადმინისტრაციული დავალებების გამარტივება; „სხვა რელევანტური თემები“: ეს სესიები შესაძლოა ასევე შეეხოს მზარდ ტენდენციებსა და ტექნოლოგიებს, რომელთაც შეუძლიათ აკადემიური პრაქტიკების გაუმჯობესება. გარდა ამისა, უსდმ უნდა შეუწყოს ხელი კვლევის ინტერნაციონალიზაციას, რაც წაახალისებს გლობალურ კვლევით ქსელებთან თანამშრომლობას, გაზრდის უნივერსიტეტის ხილვადობას საერთაშორისო აკადემიურ წრეებში და უზრუნველყოფს მრავალფეროვან აკადემიურ პერსპექტივებს.
5. რეკომენდებულია, რომ სასწავლო ლიტერატურა, მათ შორის სახელმძღვანელოები, „ჰენდაუთები“ და სხვა მასალები, განსაკუთრებით კი ის ლიტერატურა, რაც მითითებულია სავალდებულო საკითხავად, ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული ფორმატით, ასევე ბეჭდური ვერსიების სახით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ეს უზრუნველყოფს სასწავლო მასალებზე ყველა სტუდენტის მარტივ და თანასწორ წვდომას, მათი განსხვავებული პრეფერენციების გათვალისწინებით.
6. რეკომენდებულია, პროგრამის მენეჯერებისა და აკადემიური პერსონალის გადამზადება სწავლის შედეგების შეფასების კონცეპტუალური რუკების შექმნის ძირითადი პრინციპების მიმართულებით.

ინდივიდუალური რეკომენდაციები:

7. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კომპონენტის სილაბუსები (ფინანსების ფულის და კრედიტის, გამოყენებითი სტატისტიკა SPSS -ის ელემენტებით, ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე მიდგომები, კვლევის ხერხები და მეთოდები)და შესაბამისობაში მოვიდეს სადოქტორო სწავლების საფეხურთან;
8. რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან და სწავლების პროცესში გამოყენებული იქნას სამეცნიერო სტატიები და მონოგრაფიები;
9. რეკომენდებულია დაიხვეწოს სადოქტორო ნაშრომების შეფასების პრაქტიკა;
10. რეკომენდებულია სადოქტორო დისერტაციის წერისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს შემდეგს: სადოქტორო დისერტაციის თემა განისაზღვროს მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიხედვით; დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესებს, რადგან ეს დაირღვა სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, როდესაც სტუდენტმა მაღალი შეფასება მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ არ იცავდა ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის მითითებებს.

ინდივიდუალური რჩევები:

- სასურველია, დოქტორანტურის პროგრამის ინტერნაციონალიზაციის და საერთაშორისოდ აღიარებულ მონაცემთა ბაზებში პუბლიკაციების ხილვადობის გაზრდა;
- სასურველია, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის საგამოცდო/გასაუბრების თემების მოსამზადებლად დაემატოს უცხოენოვანი სასწავლო ლიტერატურა.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2026 წლის 26 ივნისის №808020 და №809079 წერილებით წარმოდგენილი „ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის - **I, II და IV სტანდარტების შესაბამისობის შემოწმება** განისაზღვრა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით MES 5 26 0000965958 (23/07/2026).

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფმა 4 აგვისტოს დაგეგმა მონიტორინგის წინა შეხვედრა. გაანაწილა შესაფასებელი კომპონენტები, განსაზღვრა დისტანციური ინტერვიუები. გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტები. კერძოდ,

1. ინფორმაცია:

   საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

- პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები;
- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);
- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

2. ხელმძღვანელების დატვირთვის სქემა,
3. დოქტორანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;
4. სამეცნიერო კვლევების პოლიტიკის დოკუმენტი;
5. საანგარიშო პერიოდში (ბოლო 1 წელი) დაცული დისერტაციები შესაბამისი დოკუმენტებით (ხელმძღვანელის დასკვნა, რეცენზენტის დასკვნ,ა საკათედრო დაცვა, დაცვის ოქმები, უწყისები ანტიპლაგიატზე შეფასება);
6. გამოქვეყნებული ნაშრომები: საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალებში: ჩამონათვალი და სტატისტიკური მონაცემები, მათ შორის დოქტრანტების/დოქტორების (საანგარიშგებო პერიოდისთვის);
7. აკადემიური პერსონალის მიერ შემუშავებულია კვლევითი პროექტების ჩამონათვალი ძირითადი საიდენტიფიკაციო მონაცემებით: სათაური, მიზანი, კოორდინატორი,
8. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული განაცხადების რაოდენობა და ჩარიცხვის მაჩვენებელი;
9. დოქტორანტების მიერ შემუშავებული, გამარჯვებული სამეცნირო კვლევითი პროექტების ჩამონათვალი;
10. დოქტორანტების ინდვიდუალური კვლევითი გეგმები;
11. პროფესორის ასისსტენტობის უწყისები;
12. სემინარი დარგში, სემინარი ქვედარგში - მასალები (2-3);
13. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკის პოლიტიკა/დოკუმენტი;

14. ინფორმაცია საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო და ეროვნულ კონფერენციებში, სემინარებსა და ვორქშოფებში დოქტორანტების მონაწილეობის შესახებ - საანგარიშგებო პერიოდში.;
15. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა შემდგომი საქმიანობის განხორციელების ანალიზი;
16. პროგრმაში ჩართული პერსონალისთვის - სამი წლის განმავლობაში შესაბამისი დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის მითითებით. (ჩართული პერსონალი და სამეცნიერო ხელმძღვანელები);
17. ანტიპლაგიატის მექანიზმები/დოკუმენტი;
18. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობა;
19. უცხო ენის გამოცდის ფორმატი/ნიმუში;
20. დარგობრივი გასაუბრების თემატიკა ;
21. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა კვლევითი პროექტები (2-3).
22. პროგრამის ბიუჯეტი.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს ჩაატარა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
ინსტიტუციამ უზრუნველყო შეფასებისთვის შესაფერისი გარემო და წარმოადგინა გამოთხოვილი დოკუმენტები. ვიზიტმა ჩაიარა კოლეგიალურ გარემოში.
აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული კლასტერული და ინდივიდუალური რეკომენდაციებიდან ექსპერტთა მიერ შეფასდა იმ რეკომენდაციების შესრულება, რომლებიც შესაბამისობაშია სადოქტორო ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებთან.

- **სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მონიტორინგის საფუძველზე დადგინდა, რომ შეფასეული პროგრამა სრულ შესაბამისობაშია, I, II და IV სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

არ არის

- **რჩევები**

  - სასურველია, პირველი შედეგის ფორმულირება შემდეგი სახით - ,,ფლობს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საკვლევი პრობლემატიკის უახლეს მიღწევებზე, ინოვაციურ კვლევებსა და მიდგომებზე დამყარებულ ცოდნას“. (1.2)
  - სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების/სარგებლობის პოლიტიკის/ რეგულირების დოკუმენტი. (1.4)
  - რეკომენდებულია, დოქტორანტურის დებულების ფარგლებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს რეცენზენტების შერჩევისას მათი ანონიმურობის უზრუნველყოფის მექანიზმი (2.4)

- სასურველია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის შემდგომი გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა გააფართოოს უცხოური უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის უშუალო ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში, მათ შორის სასწავლო, კვლევით, თანახელმძღვანელობის ან სხვა შესაბამის აკადემიურ აქტივობებში (4.1)

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა არის 32 აქედან 13 პროფესორია, ხოლო 18 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ პროფესორი. ყველა აკადემიური პერსონალია და აქვს დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხი. დოქტორანტურის დებულების მე-6 მუხლი ითვალისწინებს, რომ ერთ სამეცნიერო ხელმძღვანელს ერთდროულად შეიძლება ჰყავდეს არაუმეტეს ორი დოქტორანტი. შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელობითი პოტენციალი შეადგენს 54 დოქტორანტს (27 ხელმძღვანელი × 2). პროგრამაზე ამჟამად აქტიური სტატუსით ირიცხება 16 დოქტორანტი. აქედან გამომდინარე: ● ხელმძღვანელი/აქტიური დოქტორანტის თანაფარდობა - 27:16, ანუ ერთ სამეცნიერო ხელმძღვანელზე საშუალოდ მოდის 0,6 დოქტორანტი; ● ხელმძღვანელობითი პოტენციალის რეალური დატვირთვა შეადგენს დაახლოებით 30%-ს (16 დოქტორანტი 54 შესაძლო ადგილიდან).

  - **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) შემდეგი სახისაა:
    ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებულია 6 ნაშრომი; საერთაშორისო ჟურნალებში - 30 ნაშრომი; ადგილობრივ კონფერენციებზე გაკეთდა 21 მოხსენება, ხოლო საერთაშორისო კონფერენციებზე - 12; შესრულდა 5 გრანტი.

  - **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი:** ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამის აკადემიური პერსონალის გადინება არ დაფიქსირებულა. პირიქით, პერიოდში დაფიქსირდა დადებითი დინამიკა - ასოცირებულ პროფესორთა რიცხვის ზრდა

  - **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში):
    პროგრამის ისტორიის მანძილზე ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე სულ ჩაირიცხა 40 დოქტორანტი. მათი მიმდინარე სტატუსობრივი განაწილება: ● აქტიური - 16; ● შეჩერებული - 18; ● სხვა უსდ-ში/პროგრამაზე გადასული - 5; ● სტატუსშეწყვეტილი - 1. დოქტორანტთა სტატუსის შეჩერების შედარებით მაღალი წილი განპირობებულია დებულების 21-ე მუხლით გათვალისწინებული ობიექტური საფუძვლებით (პირადი განცხადება, პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნათა შეუსრულებლობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვ.) და წარმოადგენს სადოქტორო საფეხურისთვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ აკადემიურ მოვლენას და არა პროგრამის ფუნქციონირების ხარვეზს. აქტიური დოქტორანტების ჩარიცხვის წლების მიხედვით განაწილება მოწმობს პროგრამის უწყვეტ ფუნქციონირებას: 2020 (4), 2022 (3), 2023 (2), 2024 (4), 2025 (2). ეს დინამიკა ადასტურებს პროგრამის მდგრად მოთხოვნადობას და მისი კონტინგენტის რეგულარულ განახლებას.

  - თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების, მსურველთა და ჩარიცხულთა რაოდენობა 2021-2025 წლებში

წელი	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	მსურველთა რაოდენობა	ჩარიცხულთა რაოდენობა
2025	**3**	**3**	**2**

2024	5	9	5
2023	3	7	3
2022	10	18	13
2021	5	11	5

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

კომპონენტი 1.4 - ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პოლიტიკა უნივერსიტეტი სრულად იზიარებს ექსპერტთა შეფასებას, რომ ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიანი გამოყენების რეგულირება უახლესი პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, თუმცა მიაჩნია, რომ ეს სცდება ერთი ცალკეული სადოქტორო პროგრამის ფარგლებს და წარმოადგენს მთელი უნივერსიტეტის ინსტიტუციური დონის საკითხს. უნივერსიტეტმა წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია თუ რა ნაბიჯები გადაიდგა და მიმდინარეობს ამ მიმართულებით უნივერსიტეტში. კერძოდ, ბსუ-ს ეთიკის კოდექსში შესულია და კოდიფიცირებულია ცვლილებები (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება №07-01/08, 12/02/2026 წ.), რომლითაც კოდექსის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდა როგორც „აკადემიური და კვლევის ეთიკის დარღვევა" და პირდაპირ დაუკავშირდა ბსუ-ს კვლევის ეთიკის კომიტეტის დებულებასა და ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესს; მომზადებულია და დასამტკიცებლად წარდგენილია ბსუ-ს კვლევის ეთიკის კომიტეტის განახლებული დებულების პროექტი, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების გამოყენების ეთიკური შეფასების მექანიზმებს, დასამტკიცებელ ეტაპზეა განახლებული ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკურ რეგულირებას პირდაპირ მოიცავს. შესაბამისად, ინსტიტუცია მიაჩნია, რომ ეს საკითხი არ უკავშირდება პროგრამის მიმდინარე ფუნქციონირების ხარვეზს.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა არგუმენტირებული პოზიცია და აღნიშნული რეკომენდაცია (1.4) გადაიტანა რჩევაში.

კომპონენტი 2.4 - რეცენზენტების ანონიმურობის მექანიზმთან დაკავშირებით, არგუმენტირებული პოზიციაა, რომ საერთაშორისო რეცენზენტი. მისი ვინაობის კონფიდენციალურობა დებულებით უკვე გარანტირებულია - მუხლი 14-ის მე-12 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით, ასევე ფორმა №8-ისა და ფორმა №9-ის შესაბამისი ჩანაწერებით. სადოქტორო ნაშრომის შემფასებლები (სამი შემფასებელი) - დებულების მუხლი 14-ის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ შემფასებლებს ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. მათი დამტკიცების პროცედურა კოლეგიური და გამჭვირვალეა და, თავისი ბუნებით, გულისხმობს მათი ვინაობის ცნობადობას - მათ შორის იმ მიზნით, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი (მუხლი 14-ის მე-4 პუნქტი: შემფასებელი არ შეიძლება იყოს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ან ნაშრომის თანაავტორი). შესაბამისად, ამ ფიგურის მიმართ სრული ანონიმურობა თავად პროცედურის ლოგიკიდან გამომდინარე შეუძლებელი და, ინტერესთა კონფლიქტის კონტროლის ინტერესებიდან გამომდინარე, არასაჭიროც არის.

კომპონენტი 2.4 - რეცენზენტების ანონიმურობის მექანიზმთან დაკავშირებით აკრედიტაციის ექსპერტებმა მისაღებად მიიჩნიეს არგუმენტი, სადაც ახსნილია, რომ საერთაშორისო რეცენზენტის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა დებულებით დაკისრებული აქვს სამეცნიერო კვლევების სამსახურსა და რექტორის მოადგილეს (სამეცნიერო მიმართულებით), რომლებიც ორგანიზებას უწევენ ინგლისურენოვანი

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

რეფერატის საერთაშორისო რეცენზირებას და ინახავენ ექსპერტის ვინაობის კონფიდენციალურობას. ხოლო სამი შემფასებლის სრული ანონიმურობა თავად პროცედურის ლოგიკიდან გამომდინარე შეუძლებელია. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა რეალური ქმედითი შესაძლებლობები და რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	აკრედიტაციის სტანდარტი	სადოქტორო ჩარჩოს სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	**1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**	**შესაბამისობაშია**
1.1	პროგრამის მიზნები	1.1 მიზანი და სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	1.1 მიზანი და სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	–	აირჩიეთ შესაბამისი
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	1.2 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	–	აირჩიეთ შესაბამისი
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**	**აირჩიეთ შესაბამისი**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	1.3 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	–	აირჩიეთ შესაბამისი
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	–	აირჩიეთ შესაბამისი
2.4	სტუდენტების შეფასება	1.4 დოქტორანტის შეფასება	შესაბამისობაშია
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**2. დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმები და ხელმძღვანელობა**	**აირჩიეთ შესაბამისი**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	2.1 დოქტორანტთა მხარდამჭერი სერვისები	აირჩიეთ შესაბამისი
3.2	დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	2.2 დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობის განხორციელება	აირჩიეთ შესაბამისი
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**3. რესურსები**	**შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსი	3.1 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2	დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	3.2 სამეცნიერო ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	–	აირჩიეთ შესაბამისი
4.4	მატერიალური რესურსი	3.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	3.3 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება	შესაბამისობაშია
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**4. ხარისხის უზრუნველყოფა**	**აირჩიეთ შესაბამისი**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	4.1 შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფა	აირჩიეთ შესაბამისი
5.2	გარე ხარისხის შეფასება	–	აირჩიეთ შესაბამისი
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	–	აირჩიეთ შესაბამისი

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი კრიტერიუმები გამოიყენება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად.

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტი

აკრედიტაციის სტანდარტებისა და დოქტორანტურის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისობა

შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით;
- სახელოვნებო - შემოქმედებითი სფეროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საშემსრულებლო და/ან შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის ორიგინალური პროექტის შექმნა თანმხლები კვლევითი კომპონენტით, რომელშიც ნათლად ჩანს დოქტორანტის თვითმყოფადი შემოქმედებითი ხედვა, მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და შემოქმედებითი კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა;
- სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შესაფასებლად წარმოდგენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით.

,,ბიზნესის ადმინიტრირების“ სადოქტორო პროგრამის ზოგადი მიზანია ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ახალი ცოდნა, რომელიც იცნობს და პრაქტიკაში შემოქმედებითად იყენებს ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე თეორიებს, აქვს სწავლებისა და კვლევის უნარ-ჩვევები, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ფუნდამენტური ეკონომიკის, ბიზნესის პრობლემატიკის განხილვა-ანალიზში და განვითარებაში.

კონკრეტულად კი, პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მკვლევრის მომზადება, რომელიც შეძლებს:

• ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებული ცოდნის მნიშვნელოვან გაფართოებას, ან ახალი ცოდნის შექმნას ბიზნესის, ციფრული მეწარმეობის, ასევე რეგიონული ბიზნეს პროცესების და პოლიტიკის ანალიზის, დაგეგმვის, ანგარიშგების, მონიტორინგის და შეფასების აქტუალური პრობლემატიკის გარშემო;
• აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვით ბიზნესსა და მის ფუნქციონალურ სფეროებში ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელებას, ინოვაციური და ორიგინალური იდეების გენერირებას, ჰიპოთეზების ფორმულირებას და უახლეს მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით მათ შეფასება რეალიზაციას;
• აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისთვის სამეცნიერო კვლევების და სწავლების საუკეთესო შედეგების, მიგნებებისა და რეკომენდაციების გაზიარებას;
• კვლევის და სწავლების ეფექტიანი ინტეგრაციისთვის სასწავლო და სამეცნიერო პროცესებში აქტიურ ჩართვას/მონაწილეობას.

სადოქტორო პროგრამა ხელს უწყობს კვლევითი უნარების გაღრმავების გზით დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, დოქტორანტს სძენს ცოდნას და უნარებს ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებისთვის.

სადოქტორო პროგრამა შეესაბამება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით (2025-2031 წწ) განსაზღვრულ მიზნებს. მესამე მიზანი მიმართულია იქითკენ, რომ უნივერსიტეტი უნდა იყოს ძლიერი საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ახორციელებს ღირებულ, ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, რაც ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. მეოთხე მიზანი კი კვლევის ინტენცაიონალიზაციის გაძლიერებაზე არის ორიენტირებული.

შესაბამისად, პროგრამა კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტის (მეცნიერ მკვლევარის) ჩამოყალიბებას, რომელიც წარმატებით განახორციელებს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას აკადემიურ თუ კვლევით დაწესებულებაში, შეეძლება ახალი ცოდნის გენერირება. გლობალიზაცია, ინტერნაციონალიზაცია, თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციები დადებით გავლენას ახდენს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით სამეცნიერო (კვლევითი) პოტენციალის ფორმირებაზე და მკვლევარების დასაქმებაზე. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეული სფეროს ექსპერტებს, რომელთაც შეეძლებათ რეგიონში, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მიმდინარე ბიზნეს და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მეცნიერული მიდგომებით კვლევა.

ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა სამეცნიერო კვლევების პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე, საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები, დაცული დისერტაციები. დაცული დისერტაციები, ხელმძღვანელის დასკვნა, რეცენზენტების რეცენზიები, აპრობაციის და დაცვის ოქმები;

დამატებითი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტმა მიიღო აკადემიური საბჭოს დადგენილება N06-01/90 (14.98.2019) - **ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების განხორციელების პოლიტიკის დამტკიცების** შესახებ, რომლის მიზანია ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების განსაზღვრის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის, კვლევის ხარისხის ამაღლების, კვლევებში ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობის, სწავლებისა და კვლევის ინტეგრირების, კვლევის ეთიკის და ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი გარემოს შექმნა და განვითარება. აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულია კვლევის პოლიტიკის პრინციპების რეალიზების გზები: ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა; ბ) კვლევის ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა; გ) სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა; დ) ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა; ე) სწავლებაში კვლევის ინტეგრირების ხელშეწყობა; ვ) კვლევის ინტერნაციონალიზაცია; ზ) კვლევის ეთიკის და კვლევის კულტურის განვითარება.

ასევე, ბსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებით N 06-01/30 (13.03.2023) - **ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების დამტკიცების** შესახებ - განისაზღვრა ძირითადი სამეცნიერო კვლევითი მიმართულება - **„ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და საფინანსო ეკონომიკური პოტენციალის ტრანსფორმაცია“.** პროგრამის კვლევითი კონცეფციის თემატიკა შესაბამისობაშია აღნიშნულ მიმართულების თემატიკასთან.

ასევე, უნივერსიტეტმა წარმოადგინა ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული კვლევების, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა, საერთაშორისო ბაზების მიერ გამოყენებული c და h ინდექსების შესახებ. შემაჯამებელი მონაცემების მიხედვით, პროგრამის განცორციელებაში ჩართულ ყველა პერსონალს უფიქსირდება ნაშრომები საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალებში, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, წარმოდგენილია WoS და Scopus ბაზებში გამოქვეყნებები. მოქმედი დოქტორანტების გამოქვეყნებები (8) WoS და ERIH PLUS ბაზებში. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ ფაკულტეტი ინტენსიურად მუშაობს პერსონალის ნაშრომების WoS და Scopus ბაზებში არსებულ ჟურნალებსა და საკონფერენციო მასალებში გამოქვეყნების ხელშეწყობაზე, მათ შორის, ფინანსური, აკადემიური წერის სტანდარტების, კვლევის მეთოდების და ა.შ დახვეწის მიმართულებით.

დაცული დისერტაციების და თანდართული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ დებულებით დადგენილი მექანიზმი ქმედითუნარიანია და ემსახურება სადოქტორო პროგრამის მიზნების მიღწევას და დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2031 წწ);
- ბსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებით N r06-01/30)13.03.2023) - ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების დამტკიცების შესახებ
- ბსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებით N r06-01/30)13.03.2023) - ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების დამტკიცების შესახებ
- საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომებისჩამონათვალი;
- დაცული დისერტაციები, ხელმძღვანელის დასკვნა, რეცენზენტების რეცენზიები, აპრობაციის და დაცვის ოქმები;
- დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 დონის აღმწერს;
- სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე აქვს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებით - კვლევითი მნიშვნელობა, არის ინოვაციური და პრაქტიკული/თეორიული ღირებულების მქონე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საგანამანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემდეგი სახით არის ფორმულირებული:

1. გააჩნია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საკვლევი პრობლემატიკის უახლეს მიღწევებზე, ინოვაციურ კვლევებსა და მიდგომებზე დამყარებული ცოდნა.
2. არსებული ცოდნის კრიტიკული გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით, აცნობიერებს ბიზნესის ადმინისტრირების, მისი ფუნქციონალური სფეროების და მომიჯნავე მეცნიერებების ურთიერთკავშირს, მნიშვნელობას, ახალი ცოდნის შექმნის თავისებურებებს.
3. შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული დასაბუთებით, ბიზნესის მართვისა და მის მომიჯნავე დარგებში არსებული ცოდნის სინთეზით, არგუმენტირებულად გეგმავს და ახორციელებს ბიზნესის ადმინისტრირებაში არსებული გამოწვევების კვლევას;
4. კვლევისა და სწავლების პროცესში იყენებს ინოვაციურ მეთოდებს და ანალიტიკურ მიდგომებს, რომლებიც შესაბამისობაშია საკითხის სპეციფიკასთან და სრულად პასუხობს თანამედროვე მეცნიერებაში არსებულ მოთხოვნებს; ახდენს მიღებული შედეგების ანალიზს, შეფასებას და ინტერპრეტაციას;
5. ამყარებს კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან კონტექსტის შესაბამისი ფორმით; მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ დისკურსში;
6. დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს სასწავლო და კვლევით პროცესს; სოციალური ინტერაქციით ნერგავს ინოვაციურ ღირებულებით მიდგომებს, იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს;
7. შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში განხორციელების გზით გეგმავს საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

პროგრამის შედეგები დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 დონის აღმწერს, თუმცა, სასურველია, პირველი შედეგის ფორმულირება შემდეგი სახით - ,,ფლობს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საკვლევი პრობლემატიკის უახლეს მიღწევებზე, ინოვაციურ კვლევებსა და მიდგომებზე დამყარებულ ცოდნას“.

კლასტერული აკრედიტაციის დროს გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

- **გადაიხედოს კურიკულუმის რუკა სწავლის შედეგების განვითარების თანმიმდევრულობის კუთხით;**
- **განისაზღვროს სამიზნე ნიშნულიდან ცდომილების (უარყოფითი/დადებითი) რიცხობრივი მაჩვენებელი, რომლის შემთხვევაშიც მოხდება სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევის გზების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;**

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა რეკომენდაციების შესრულება. შესაფასებელ პროგრამაში წარმოდგენილია კურიკულუმი, პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა. ინსტიტუციამ წარმოადგინა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასების და სამიზნე ნიშნულების რუკაც, რომელიც

სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგებზე არის აგებული. სამიზნე ნიშნულებიდან დადებითი ცდომილება განისაზღვრება +10%-ით, ხოლო უარყოფითი ცდომილება -10%-ით.
სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან მბის რუკაში შედეგები ვითარდება გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცების ლოგიკით, რაც ადასტურებს, რომ ზემოთ მოცემული **რეკომენდაციები შესრულებულია.**
ამასთან, ინსტიტუციამ თავდაპირველ პაკეტში წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წლიური ანგარიში, რომელიც შესრულებულია ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის მიხედვით. თუმცა მესამე გვერდზე იყო შეცდომა: კერძოდ, მითითებულია, რომ პროგრამა არის 180 ECTS კრედიტიანი, საიდანაც 60 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კომპონენტებზე მოდის, ხოლო კვლევითზე - 120 ECTS კრედიტი. ანალოგიური ჩანაწერია მეექვსე გვერდზე, პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს პროცესში დაისვა შეკითხვა აღნიშნული ხარვეზის შესახებ. დამატებითი დოკუმენტებთან ერთად უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდინა წლიური ანგარიში ხარვეზის გარეშე, კერძოდ, სადოქტორო პროგრამა 60 ECTS სასწავლო კრედიტს მოიცავს, საიდანაც 15 კრედიტი არჩევითი სასწავლო კომპონენტია. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ახალი მოცემულობა და არ გასცა რეკომენდაცია.
რაც შეეხება ჩარიცხვის მაჩვენებლებს და დინამიკას, 2021-2025 წლებში პროგრამაზე მიღებულია სულ 48 განაცხადი და ჩაირიცხა 28 დოქტორანტი. შესაბამისად, ხუთწლიანი პერიოდის საერთო ჩარიცხვის მაჩვენებელი შეადგენს 58.3%-ს. ყველაზე მაღალი წლიური მაჩვენებელი დაფიქსირდა 2022 წელს (72.2%), ხოლო ყველაზე დაბალი - 2023 წელს (42.9%). დგინდება, რომ კონკურსის არსებობის მიუხედავად, უნივერსიტეტი ორიენტირებულია ისეთი კადრის შერჩევაზე, რომლებიც შეძლებენ სადოქტორო პროგრამით დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევას.
ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითი შერჩევით შეისწავლა დაცული დისერტაციების კვლევის შედეგების სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა, მათი ინოვაციურობა დისერტაციების, ხელმძღვანელების დასკვნების, რეცენზიების, აპრობაციის და დაცვის ოქმების **საფუძველზე, სადაც ინდივიდუალურად და კომისიური წესით ხაზგასმულია დოქტორანტების კვლევის შედეგების სიახლეების სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობები.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- სწავლის შედეგების პროგრამის შედეგებთან ბმის რუკა;
- პროგრამის მიზნების და შედეგების ბმის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წლიური ანგარიში;
- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2031 წწ);
- საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები;
- დოქტორანტების მიერ შემუშავებული კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმაცია;
- დოქტორანტების გამოქვეყენებები საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალებში;
- დაცული დისერტაციები;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი 4.
- ბსუ-ს დოქტორანტურის დებულება;
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები და ინფორმაცია;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- არ არის.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია, პირველი შედეგის ფორმულირება შემდეგი სახით - ,,ფლობს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საკვლევი პრობლემატიკის უახლეს მიღწევებზე, ინოვაციურ კვლევებსა და მიდგომებზე დამყარებულ ცოდნას".

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	აირჩიეთ შესაბამისი

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს უსდ - ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობის/ პროფესიული ქსელის ჩამოყალიბებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სწავლის სფეროს თავისებურებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან/და სხვა სახის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განაპირობებს მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, რომელიც საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს სამეცნიერო დარგებს შორის ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად: კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა;
- უსდ - ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეფექტურად განხორციელებისათვის შემუშავებული აქვს: საკვლევი თემის შერჩევის, შეცვლის, სამეცნიერო-კვლევის კომპონენტის განხორციელების და წარდგენის მექანიზმი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის სფეროს/სფეროების შესაბამისად და დოქტორანტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის შესრულებას სათანადო დონეზე აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დაცვის გათვალისწინებით;
- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა, ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში

დასრულებას;

- უსდ - ში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში მოქმედ კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის, ასევე, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების საფუძველზე. პროგრამის მოცულობა 60 ECTS კრედიტია. პროგრამის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შესაბამისი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, სადოქტორო სემინარების (დარგში და ქვედარგში), პროფესორის ასისტენტობის შესრულებას, ხოლო კვლევითი კომპონენტი - სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას. პროგრამის ხანგრძლივობა - 3 (მაქსიმუმ 5) აკადემიური წელია. საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად: კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა, რაც დასტურდება პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შინაარსით, სწავლა-სწავლების, შეფასების მეთოდებით. კერძოდ, სავალდებულო სასწავლო კურსებში წარმოდგენილია: სწავლების თანამედროვე მეთოდები, აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის, კვლევის ხერხები და მეთოდები (5-5 ECTS კრედიტი), პროფესორის ასისტენტობა, სემინარი დარგში, სემინარი ქვედარგში (10 - 10 ECTS კრედიტი). არჩევით სასწავლო კურსებში კი - კურიკულუმის განვითარება და ხარისხის მართვის სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში, მეცნიერებისა და კვლევის მენეჯმენტი, ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე მიდგომები, ფინანსების, ფულისა და კრედიტის თანა მედროვე თეორიები,გამოყენებითი სტატისტიკა SPSS ელემენტებით, დროითი მწკრივების მონაცემთა ანალიზი Eviews-ის გამოყენებით,საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი, უცხოეთის აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი. აღსანიშნავია, რომ ეს ორი უკანასკნელი კურსი ხელს შეუწყობს დოქტორანტის სამეცნიერო ინტერესების მაქსიმალურ გათვალისწინებას და მის სამეცნიერო წრის გაფართოებას.

კლასტერული აკრედიტაციის პირობებში გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. **რეკომენდებულია, უსდ-მ ყურადღება გაამახვილოს სტუდენტებისთვის პრაქტიკული სწავლების კომპონენტის გაძლიერებაზე.**
2. **რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კომპონენტის სილაბუსები (ფინანსების ფულის და კრედიტის, გამოყენებითი სტატისტიკა SPSS -ის ელემენტებით, ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე მიდგომები, კვლევის ხერხები და მეთოდები) და შესაბამისობაში მოვიდეს სადოქტორო სწავლების საფეხურთან;**
3. **რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან და სწავლების პროცესში გამოყენებული იქნას სამეცნიერო სტატიები და მონოგრაფიები.**

რეკომენდაციების შესრულების მიზნით, კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე გადაიხედა სასწავლო კურსების ფორმატი, მეთოდები, ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები. სასწავლო მასალები განახლებულაი შემდეგ სასწავლო კურსებში: ,,აკადემიური წერა“, ,, კვლევის ხერხები და მეთოდები“, ,,კურიკულუმის განვითარება და ხარისხის მართვის სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში“, ,,მეცნიერებისა და კვლევის მენეჯმენტი“, ,,გამოყენებითი სტატისტიკა SPSS ელემენტებით“, ,,დროითი მწკრივების მონაცემთა ანალიზი Eviews-ის გამოყენებით“.

სასწავლო კურსების სილაბუსებში, საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმოდგენილია პრაქტიკული მუშაობის საათები სხვადასხვა დატვირთვით. უმრავლეს სასწავლო კურსში თეორიული ცოდნის გაღრმავება ხდება პრაქტიკული სწავლების მეთოდებით. ყველა სასწავლო კურსის კრედიტ/საათებში მეტი მოცულობით არის პრაქტიკული ნაწილი, დავალებები მოიცავს ქეისებს,

რეალურ ბიზნეს ოპერაციებსა და პროცესებზე დაფუძნებულ დავალებებს, კვლევით პროექტებს და ა.შ. სადისერტაციო ნაშრომების წერისას სამეცნიერო ხელმძღვანელები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კვლევის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას, რაც მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორის განვითარებისთვის. პირველადი და მეორადი მონაცემების დამუშავება ხდება ანალიტიკური ინსტრუმენტებით.

ბიზნეს სუბიექტებთან რეალური პრობლემებისა და ამოცანების დამუშავების მიმართულებით ინსტიტუცია კვლავ აგრძელებს მუშაობას.

სილაბუსების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო კურსების ძირითად და დამატებით ლიტერატურაში ჩართულია მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები და სხვა სამეცნიერო ნაშრომები სადოქტორო დონის საფეხურის შესაბამისად. ახალი ლიტერატურის შეძენა ფიქსირდება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურებითაც.

რეკომენდაციები შესრულდა.

,პროგრამით გათვალისწინებული ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება წინამდებარე პროგრამის და ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების შედეგად. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამისთვის შემუშავებულია **სამეცნიერო კვლევების კონცეფცია,** რომლითაც განსაზღვრულია შემდეგი აქტუალური მიმართულებები: 1. ბიზნესის განვითარება, ზრდა და შეფასება. 2. საწარმოო რესურსების ტრანსფორმაციისა და საინვესტიციო გარემოს ფორმირების აქტუალური საკითხები. 3. ანტიკრიზისული ღონისძიებების კონცეფცია. 4. ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება. 5. გლობალიზაციის გამოწვევები და ეროვნული ბიზნესის პერსპექტივები. პროგრამაში წარმოდგენილია ამ მიმართულებების კვლევის დეტალური ანალიზი, რაც ცხადჰყოფს, რომ პროგრამა უზრუნველყოფს მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან/და სხვა სახის განვითარებას.

დოქტორანტურის დებულების მიხედვით, ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს შესაბამისი დარგის/მიმართულების **არანაკლებ ხუთი,** ბსუ-სთან აფილირებული, პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ან/და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია უნდა დადასტურდეს **ბოლო სამი წლის განმავლობაში** შესაბამისი დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს, აღნიშნულ მოთხოვნებთან ერთად, მოეთხოვება პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა აღნიშნული მოთხოვნა, რაც დადასტურდა წარმოდგენილი ინფორმაციით - პროგრამაში ჩართული პერსონალის და მათი გამოქვეყნებების შესახებ. აღნიშნული კარგ საფუძველს ქმნის იმისთვის, რომ დადებითად შეფასდეს კვლევითი პოტენციალი პროგრამის განხორციელებისთვის.

ინსტიტუციას შემუშავებული აქვს: საკვლევი თემის შერჩევის, შეცვლის, სამეცნიერო- კვლევის კომპონენტის განხორციელების და წარდგენის მექანიზმი. თემის შერჩევა დაკავშირებულია გამარჯვებულ სადოქტორო პროექტებზე, რომელსაც აკადემიური პერსონალი საკონკურსოდ წარადგენს სასწავლო წლის მაისის თვეში. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ 2025 წელს გამარჯვებული იყო 2 პროექტი, ხოლო 2026 წელს - 5 პროექტი. აღნიშნული პროექტები განსაზღვრავს დოქტოტრანტურაში ჩარიცხული სტუდენტების სამომავლო სადისერტაციო თემებს. კვლევითი პროექტები აქტუალურ საკითხებზეა ორიენტირებული და შესაბამისობაშია სადოქტორო პროგრამის კონცეფციის თემატიკასთან. ინტიტუციამ დამატებითი დოკუმენტების სახით წარმოადგინა აღნიშნული გამარჯვებული პროექტების აღწერილობა, რითაც დასტურდება, რომ კვლევითი თემატიკა აქტუალურ და აკადემიური და პრაქტიკული ღირებულებების შემცველ თემატიკას ეხება.

ასევე, დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, სწავლის დაწყებიდან **ორ თვეში** (სწავლების პირველ სემესტრში/მობილობით ჩარიცხვის სემესტრში) ადგენს ინდივიდუალურ

სასწავლო და კვლევით გეგმებს (დებულების თანდართული N4 ფორმა). დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა, ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას. ინსიტუტციამ წარმოადგინა გამოთხოვილ დოკუმენტებთან ერთად აღნიშნული ინდივიუალური გეგმები, სადაც დროითი ოპერაციონალიზაციის გზით შემუშვებულია დოქტრანტის, მისი ხელმძღვანელის და ყველა საჭირო რესურსის გათვალისწინებით, დოქტორანტის მიზნების მიღწევის ეტაპები.

დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრულია პლაგიატის პროგრამაზე სადისერტაციო ნაშრომის შემოწმების მექანიზმი - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის N06-01/129 დადგენილების N1 დანართი - „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულება“ (კოდიფიცირებულია ცვლილებებით/დამატებებით: N06-01/35, 07.04.2025). ამასთან, საკითხი რეგულირდება ბსუ - ს ეთიკის კოდექსით და ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესით.

პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს პროცეში აღინიშნა, რომ სადოქტორო ნაშრომისთვის ტექსტის დამთხვევის ნიშნულის შემცირება პირველადი შემოწმებიდან (10-15%) სურთ დაიყვანონ 0 % - მდე. ამ მიზნით, ხელმძღვანელმა უნდა დეტალურად განიხილოს ტექსტის დამთხვევის შემთხვევები და აუცილებლობის შემთხვევაში დაადასტუროს კონკრეტული მონაცემების, ციტირების, ტექსტის მნიშვნელობა და საჭიროება სადისერტთციო ნაშრომისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა ანტიპლაგიატის საუნივერსიტეტო მექანიზმების შესახებ ინფორმაცია. კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მათი ნაშრომების ანტიპლაგიატის პროგრამაზე შემოწმებისას დაფიქსირდა თვითპლაგიატის შემთხვევა, რადგან კვლევის ნაწილი გამოქვეყნებული იყო სამეცნიერო ნაშრომის სახით.

დებულების მიხედვით, ,,ბსუ-ს სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის შედეგებს უნდა გააჩნდეს სამეცნიერო-კვლევითი მნიშვნელობა, იყოს ინოვაციური, პრაქტიკული ან თეორიული ღირებულების მქონე“. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა საანგარიშგებო პერიოდში დაცული დისერტაციები და კვლევითი სიახლეები, დაცვის ოქმები. დისერტთაციებში კვლევითი სიახლეები ფორმულირებულია და დადასტურებულია მათი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა. სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ მათ სთავაზობენ ისეთ სასწავლო კურსებს, რომელიც ეხმარებათ მაღალრეიტინგული ჟურნალებისთვის მოამზადონ სამეცნიერო სტატიები შესაბამისი მოთხოვნების დაცვით. ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ გაიზარდა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის მაჩვენებელი და მაღალხარისხიანი ვალიდური სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენება კვლევებში.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე ვერ დადგინდა, რომ უნივერსიტეტს აქვს ხელოვნული ინტელექტის გამოყენების პოლიტიკის/ რეგულირების დოკუმენტი, რაც უკანასკნელი პერიოდის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, მათ შორის კვლევების ვალიდობის და უნიკალურობის, საავტორო უფლებების დაცვის თვალსაზრისით., რაზეც გაიცა რეკომენდაცია. თუმცა უნივერსიტეტის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია - უნივერსიტეტმა იმუშავოს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების/სარგებლობის პოლიტიკის/ რეგულირების დოკუმენტზე - გადაიტნა რჩევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წლიური ანგარიში;
- უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების დოკუმენტი;
- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2031 წწ);
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის N06-01/129 დადგენილების N1 დანართი - „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულება“ (კოდიფიცირებულია ცვლილებებით/დამატებებით: N06-01/35, 07.04.2025);
- საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები;

- დაცული დისერტაციები;
- ეთიკის კოდექსი და ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი;
- ბსუ-ს დოქტორანტურის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების/სარგებლობის პოლიტიკის/ რეგულირების დოკუმენტი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	აირჩიეთ შესაბამისი

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა, მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, ინფორმაციას ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების და დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმების და სხვა ასპექტების შესახებ;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კანდიდატების გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასება, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას მხედველობაში მიიღება ასევე უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგია;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია დოქტორანტთა მიღება კომისიური წესით;
- უსდ-ში განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას-ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ-ში

დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის/შემოქმედებითი კვლევის თეზისს/პროექტს. კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს დგინდება უცხო ენის ფლობის დონე, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამაზე პირის მიერ ინგლისური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ-ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნას არანაკლებ B1 დონეზე;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხდება უსდ-ში არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის გათვალისწინებით. ასევე, უსდ-ს მიერ მხედველობაში მიიღება პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის და ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების შესაბამისად.
პროგრამაზე სწავლის მსურველს მოეთხოვება:
• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში (ან „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალსიწინებულ ბიზნესისა და ადმინისტრირების ვიწრო სფეროში კლასიფიცირებულ მიმართულებებში), ან ეკონომიკაში;
• ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.
დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს, ასევე, უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
დოქტორანტობის კანდიდატმა, რომლისთვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური და სურს სწავლა ქართულენოვან პროგრამაზე, უნდა წარმოადგინოს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან ჩააბაროს ბსუ-ში გამოცდა ქართულ ენაში.
• ჩააბაროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები. მისაღები პროცედურა ორი ნაწილისგან შედგება: 1. წერითი გამოცდა ინგლისურ ენაში, რომლის მიზანია კანდიდატის მიერ ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის შემოწმება;

- გამოცდის წარმატებით გავლის შემდეგ, დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრება/გამოცდას სპეციალობაში, გასაუბრების მიზანია, დადგინდეს კანდიდატის აკადემიური მიღწევები, არჩეული სფეროს შესახებ ცოდნა და მოტივაცია. ასევე შეფასდეს სადოქტორო კვლევითი განაცხადი.
- სადოქტორო - საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვა. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დასაშვებია უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე ჩარიცხვა.

საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. დოქტრანტურის დებულებით კი განსაზღვრულია ინფორმაცია პროგრამაზე მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, კერძოდ, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება (კონკურსი) ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, ხუთი თვით ადრე, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული მისაღები კონტინგენტის ფარგლებში. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის ფარგლებში მიღება და ჩარიცხვა ხორციელდება, საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებისა და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში მობილობის ადმინისტრირების წესის“ მოთხოვნებისა და ვადების დაცვით.
ასევე, დებულებაში განსაზღვრულია წინაპირობა სადოქტორო ნაშრომის კვლევითი პროექტის შესახებ. კერძოდ, სადოქტორო პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კვლევითი მიმართულებების ფარგლებში მზადდება სადოქტორო

ნაშრომის კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობა (შემდეგში - კვლევითი პროექტი), დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მითითებით. სადოქტორო ნაშრომის კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობები (კვლევითი პროექტ(ებ)ი, შედგენილი ამ დებულებაზე თანდართული ფორმის შესაბამისად - ფორმა N1), მზადდება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე სამი თვით ადრე და პროგრამის განმახორციელებელი დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით მტკიცდება შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კანდიდატების გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასება. პროგრამაზე მიღებისას მხედველობაში მიიღება ასევე, უსდ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოლიტიკა, რაც ასახულია პროგრამის კვლევით კონცეფციასა და ძირითად თემატურ მიმართულებებში. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ-ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის თეზისს/პროექტს. **კანდიდატს, მოეთხოვება საკვლევი მიმართულების შესაბამისი ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ ორწლიანი პროფესიული გამოცდილება.** აღნიშნული ჩანაწერი ფიქსირდება დოქტორანტურის დებულებაში, დადასტურდა ინტერვიუს პროცესში, თუმცა არ არის ჩანაწერი პროგრამაში. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულ პროგრამების კატალოგში აღნიშნული მოთხოვნა მითითებულია და ტექნიკური ხარვეზია პროგრამაში. მან ექსპერტთა ჯგუფს გაუზიარა შესაბამისი ბმულიც (https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_414_1.pdf). აღინიშნა, რომ წარმოდგენილი შეუსაბამობა მყისიერად გასწორდება. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა ხელმძღვანელის და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია და რეკომენდაცია მოხსნა.

დოქტორანტრის დებულებით განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას-ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. კერძოდ, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისათვის უცხო ენის ცოდნის დონის (კომპეტენციის) დადასტურების/გამოცდის ჩატარების მიზნით იქმნება საუნივერსიტეტო საგამოცდო კომისია, ხოლო ,,სპეციალობაში“ გასაუბრების/გამოცდის ორგანიზების მიზნით - დარგობრივი კომისია. კომისიების შემადგენლობა მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით. სპეციალობის გამოცდის დარგობრივი კომისია შედგება არანაკლებ სამი წევრისგან, რომელთა კომპეტენცია დასტურდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესაბამისი დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით.

ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა მიერ აღნიშნული კრიტერიუმების დამამტკიცებელი ინფორმაცია, რადგან ისინი პოტენციურად განიხილებიან დარგობრივი კომისიის წევრებად და სამეცნიერო ხელმძღვანელებად. წარმოდგენილი ინფორმაციით აღნიშნულ პირებს უდასტურდებათ წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელთა ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საკონკურსო პირობაში არის ჩადებული მოთხოვნა პროფესორის პოზიციაზე WoS და Scopus ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნება, ხოლო ასოცირებული პროფესორებისთვის - WoS და Scopus ბაზების ჟურნალებში გამოქვეყნება, რაც უზრუნველყოფს ისეთი აკადემიური პერსონალის შერჩევას, რომლებიც აკმაყოფილებენ დოქტორანტურის დებულების მოთხოვნებს.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხდება უსდ-ში არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის გათვალისწინებით. ეს მაჩვენებელია - 1 ხელმძღვანელზე 2 დოქტორანტი. მიმდინარე ეტაპზე ეს მაჩვენებელი არ არის მიღწეული, თუმცა მაინც ითვალისწინებენ სტატუსშეჩერებული დოქტორანტების რაოდენობასაც, რათა მათი სურვილის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნას სამეცნიერო ხელმძღვანელობა. ასევე, უსდ-ს მიერ მხედველობაში მიიღება პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები. აღინიშნა, რომ სტატუსშეჩერებული 18 სტუდენტია და სტატუსის შეჩერება არ არის დაკავშირებული ფინანსურ პრობლემასთან. მათი გადაწყვეტილება დაკავშირებულია სადოქტორო პროგრამაზე სწავლის და კვლევის მიმართ გაზრდილ, გამკაცრებულ მოთხოვნასთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დოქტორანტურაში მისაღებად წარდგენილი კვლევითი

პროექტები, რომლებიც შემუშავებულია მათ წინაშე არსებული მოთხოვნების მიხედვით და ასახავს დოქტორანტების სამომავლო კვლევის ინტერესს. ასევე, გადამოწმდა გასაუბრების/ სპეციალობის გამოცდის სავარაუდო თემატიკა, რაც შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრული წინაპირობების უზრუნველყოფასთან შესაბამისი ცოდნის დონის კონტინგენტის შესარჩევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- დოქტორანტურის დებულება;
- ინფორმაცია სამეცნიერო ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების შესახებ;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობა;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული განაცხადების რაოდენობა და ჩარიცხვის მაჩვენებელი;
- ხელმძღვანელების დატვირთვის სქემა, დოქტორანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიერ პროგრამის ვადაში დასრულების ანალიზის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების მსურველი პირების კვლევის პროექტები;
- დამატებითი დოკუმენტები და ინფორმაცია;
- უსდ-ს ვებ გვერდი: https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_414_1.pdf;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- არ არის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	აირჩიეთ შესაბამისი

2.4. სტუდენტების შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- დოქტორანტების შეფასება ხდება უსდ - ში დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომელიც გამჭვირვალეა, სანდოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება სასწავლო კომპონენტის შინაარსისა და სადოქტორო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნისა და უნარების, მათ შორის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისა და დამოუკიდებლად გამოყენების, აზრის არგუმენტირებულად გადმოცემისა და სხვა უნარების შეფასებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დისერტაციის/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის, ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების წინაპირობებს, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს;
- დოქტორანტის მიერ დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე დოქტორანტს მოეთხოვება შესაბამის კვლევის სფეროში არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;
- სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხდება დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდული დაკვირვება, განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის მიცემა;
- სადოქტორო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები, სადოქტორო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, წინასწარ ცნობილია დოქტორანტებისათვის და გათვალისწინებულია დოქტორანტთა ნაშრომების შეფასებისას;

- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებისას უსდ იყენებს აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმებს;
- სადოქტორო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიური წესით - კომისიის/კომისიების მიერ;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა ან/და დაცვის პროცედურები ითვალისწინებს სადისერტაციო ნაშრომზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწესებულების (ადგილობრივი ან/და უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნებს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის შემდეგი სწავლის სფეროებისთვის: ქართული ფილოლოგია, აფხაზური ფილოლოგია, ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი), რომელიც აფასებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო კვლევის/შემოქმედებითი ნაშრომის სიახლეს და მზაობას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის;
- ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და დანიშვნის მექანიზმები და პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა, რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის/საშემსრულებლო კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების მონაწილეობა. დაცვის კომისიის/კომისიების მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;
- სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შედიან - შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი;
- სადოქტორო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და ღია; სადოქტორო ნაშრომის აბსტრაქტი/რეზიუმე

ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია კანდიდატთა პროგრამაზე ჩარიცხვისა და დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრება. გასაჩივრების პროცედურები საჯაროა და უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას;
- უსდ - ს მიერ შემუშავებულია რეცენზენტის მოძიების, დანიშვნისა და მისი საქმიანობის მექანიზმები;
- მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომების თემატიკის შესახებ და დაცული დისერტაციების შესახებ ინფორმაცია უსდ - ს მიერ განთავსებულია ერთიან ელექტრონულ პორტალზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ში დოქტორანტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შეფასება რეგულირდება დოქტორანტურის დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით. დებულება პირდაპირ განსაზღვრავს, რომ სასწავლო კომპონენტის შესრულების, შეფასებისა და გასაჩივრების საკითხები რეგულირდება ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისათვის გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა, რომელიც დოქტორანტმა ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად უნდა შეადგინოს სწავლის დაწყებიდან ორი თვის განმავლობაში. კვლევით გეგმაში აისახება კვლევის მიზანი, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის განხორციელების სავარაუდო გრაფიკი. ამასთან, სამეცნიერო ხელმძღვანელი რეგულარულად უწევს დოქტორანტს კონსულტაციას კვლევის მეთოდოლოგიის, კვლევის დიზაინის, დისერტაციის წერის, პუბლიკაციების მომზადებისა და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის საკითხებზე. აღნიშნული მექანიზმები ქმნის დოქტორანტის პროგრესზე უწყვეტი დაკვირვებისა და განმავითარებელი უკუკავშირის საფუძველს.

კვლევითი პროგრესის ეტაპობრივი შეფასების მნიშვნელოვანი მექანიზმია ორი კოლოქვიუმი. კოლოქვიუმები მიმართულია უახლესი ცოდნის ათვისების, ინოვაციური კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავების, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გააზრების, პრეზენტაციისა და სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადების უნარების განვითარებისკენ. კოლოქვიუმის დაცვამდე ნაშრომი გადაეცემა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე რეცენზენტსა და სამეცნიერო ხელმძღვანელს განმავითარებელი შეფასების მისაღებად. შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს კვლევის პროგრესის პერიოდულ შეფასებას დისერტაციის საბოლოო დაცვამდე.

სადოქტორო სემინარის შეფასებაც ფორმალიზებულია: გამოიყენება 100-ქულიანი სისტემა, საიდანაც 60 ქულა ეთმობა ნაშრომის შინაარსობრივ მხარეს და 40 ქულა — პრეზენტაციას; შეფასებისას ყურადღება ექცევა საკითხის დასმას, გადაწყვეტის გზას, მიღებულ შედეგებსა და მათ არგუმენტირებულ დასაბუთებას. ეს მექანიზმი პასუხობს სადოქტორო საფეხურზე ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევითი მსჯელობისა და არგუმენტირებული კომუნიკაციის შეფასების მოთხოვნას.

დისერტაციის საჯარო დაცვაზე დაშვების წინაპირობები მკაფიოდ არის განსაზღვრული. დოქტორანტმა უნდა შეასრულოს სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, გაიაროს ნაშრომის წინასწარი განხილვა - აპრობაცია და გაითვალისწინოს რეცენზენტების შენიშვნები. აპრობაციაზე ნაშრომს აფასებს ორი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე რეცენზენტი და უარყოფითი შეფასების შემთხვევაში ნაშრომი უბრუნდება დოქტორანტს გადასამუშავებლად. ამგვარად, საბოლოო დაცვამდე არსებობს როგორც შუალედური შეფასება, ისე ხარვეზების გამოსწორების რეალური შესაძლებლობა.

პუბლიკაციების მოთხოვნა მკაფიოდაა განსაზღვრული: საჯარო დაცვისათვის დოქტორანტს მოეთხოვება სადოქტორო თემაზე მინიმუმ **სამი** პუბლიკაცია, მათ შორის ერთი Web of Science, Scopus ან შესაბამის შემთხვევაში ERIH PLUS-ში ინდექსირებულ რეცენზირებად ჟურნალში. შესაბამისად, მოთხოვნა „არანაკლებ ორი სტატია, მათ შორის ერთი საერთაშორისო ინდექსირებულ peer-reviewed ჟურნალში“ დაკმაყოფილებულია.

აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართულებით მოქმედებს ცალკე ანტიპლაგიატის პროცედურა. დისერტაცია აპრობაციამდე მოწმდება მსგავსების დეტექტირების პროგრამით; მსგავსებების აღმოჩენისას ხელმძღვანელი ახორციელებს მათ შეფასებასა და კომენტირებას, ხოლო განმეორებითი პრობლემის შემთხვევაში იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც წყვეტს ნაშრომის აპრობაციაზე

დაშვების საკითხს. ამასთან, დისერტაციის ტექსტში სავალდებულოა ავტორის განცხადება ნაშრომის ორიგინალურობისა და სათანადო ციტირების შესახებ. აღნიშნული მექანიზმები არსებითად პასუხობს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის ინდიკატორს.

განსაკუთრებით პოზიტიურად უნდა შეფასდეს **წინა აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციის შესრულება.** 2025 წლის 2 დეკემბრის რექტორის №01-02/217 ბრძანებით დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასების განახლებული ფორმები. ნაშრომი ფასდება თემის აქტუალურობის, კვლევის მეთოდების რელევანტურობის, მეცნიერული სიახლის, დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების მიხედვით. კრიტერიუმებს განსხვავებული წონა აქვს და საბოლოო შეფასება გამოითვლება შეწონილი საშუალო ქულით. აღნიშნული მექანიზმი უკვე გამოყენებულ იქნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ორი დისერტაციის შეფასებისას. წარმოდგენილი შეფასების ფორმებიც ადასტურებს დეტალური რუბრიკის არსებობას, სადაც თითოეული კრიტერიუმისათვის განსაზღვრულია შესრულების დონეები და განსხვავებული კოეფიციენტები.

დისერტაციის შეფასება ხორციელდება კომისიური წესით. სადისერტაციო კომისია შედგება მინიმუმ შვიდი წევრისგან და მასში მონაწილეობს საქართველოს ან/და უცხოეთის სხვა უსდ-ის/კვლევითი დაწესებულების არანაკლებ ორი წარმომადგენელი. დოქტორანტის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი კომისიის მუშაობაში არ მონაწილეობენ. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საერთაშორისო შემფასებლებისა და შრომის ბაზრის/არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების ჩართვაც. ამდენად, გარე შემფასებლების მონაწილეობასა და ხელმძღვანელის ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვასთან დაკავშირებული ინდიკატორები დაცულია.

ასევე განსაზღვრულია საერთაშორისო რეცენზირების სავალდებულო მექანიზმი. საერთაშორისო რეცენზენტი უნდა წარმოადგენდეს უცხოურ უნივერსიტეტს ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას და მისი კვალიფიკაცია დასტურდებოდეს ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამის სფეროში Web of Science, Scopus ან ERIH PLUS-ში ინდექსირებული რეცენზირებადი პუბლიკაციით. გარდა ამისა, საჯარო დაცვის ეტაპზე სადისერტაციო საბჭო გამოყოფს სამ დამატებით შემფასებელს, რომელთა კვალიფიკაციის მიმართ ანალოგიური სამეცნიერო მოთხოვნები მოქმედებს და რომელთაგან არც ერთი შეიძლება იყოს დოქტორანტის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი ან ნაშრომის თანაავტორი.

წარმოდგენილი დებულება ადგენს რეცენზენტებისა და შემფასებლების კვალიფიკაციას, მათი დანიშვნისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების გარკვეულ მექანიზმებს. დებულების მიხედვით, **მიუკერძოებელი, ობიექტური შეფასების მიზნით დოქტორანტისთვის ან/და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელისთვის/თანახელმძღვანელისთვის რეცენზენტის ვინაობა კონფიდენციალურია. რეცენზენტის დასკვნის გაცნობამდე რეცენზენტის ვინაობა რჩება ანონიმური.** დოკუმენტაციით ირკვევა, რომ რეცენზენტებს/შემფასებლებს არჩევს შესაბამისი დეპარტამენტი ან სადისერტაციო საბჭო. რეცენზენტების ანონიმურობის მექანიზმთან დაკავშირებით აკრედიტაციის ექსპერტებმა მისაღებად მიიჩნიეს არგუმენტი, სადაც ახსნილია, რომ საერთაშორისო რეცენზენტის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა დებულებით დაკისრებული აქვს სამეცნიერო კვლევების სამსახურსა და რექტორის მოადგილეს (სამეცნიერო მიმართულებით), რომლებიც ორგანიზებას უწევენ ინგლისურენოვანი რეფერატის საერთაშორისო რეცენზირებას და ინახავენ ექსპერტის ვინაობის კონფიდენციალურობას. ხოლო სამი შემფასებლის სრული ანონიმურობა თავად პროცედურის ლოგიკიდან გამომდინარე შეუძლებელია. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა რეალური ქმედითი შესაძლებლობები და რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში.

დისერტაციის დაცვა საჯაროა. საჯარო დაცვამდე 15 დღით ადრე დოქტორანტის რეფერატი ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხოლო საჯარო დაცვისათვის წარდგენილი რეფერატი მზადდება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

გასაჩივრების მექანიზმებიც არსებობს როგორც მიღების, ისე დისერტაციის დაცვის ეტაპზე. კანდიდატთა მიღების პროცესისათვის იქმნება სააპელაციო კომისია და განსაზღვრულია საჩივრის წარდგენისა და განხილვის პროცედურა. დოქტორანტს ასევე შეუძლია სადისერტაციო კომისიის შეფასების ან დაცვის პროცედურული დარღვევის გასაჩივრება შეფასების გაცნობიდან ხუთი კალენდარული დღის ვადაში; ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია დამოუკიდებელი სააპელაციო კომისიის შექმნა.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია დაცული სადისერტაციო ნაშრომები და ასევე ინფორმაცია სადოქტორო პროექტების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები;
- დოქტორანტურის დებულება;
- დისერტაციის შეფასების წესი;
- სადოქტორო ნაშრომები;
- დისერტაციის შეფასების უწყისები და ოქმები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რეკომენდებულია, დოქტორანტურის დებულების ფარგლებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს რეცენზენტების შერჩევისას მათი ანონიმურობის უზრუნველყოფის მექანიზმი;

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან/ცენტრებთან /უსდ - ებთან, სადოქტორო სკოლებთან, ასევე, საჯარო და კერძო სექტორთან/ინდუსტრიასთან და სხვა პოტენციურ დამსაქმებელთან სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა სამუშაო ბაზარზე ინტეგრირებისა და კარიერული წინსვლის მიზნით;
- უსდ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქმნის სათანადო პირობებს და გარემოს საერთაშორისო მობილობის წახალისებისათვის და/ან საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და სხვა სამეცნიერო/შემოქმედებით აქტივობებში მონაწილეობისათვის, რაც მიზნად

ისახავს ძლიერი და ინკლუზიური კვლევითი გარემოს განვითარებას და ხელს უწყობს კვლევის საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, კვლევის ინტერნაციონალიზაციას და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას.

- უსდ დოქტორანტებს საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს მხარდაჭერის დამატებით მექანიზმებს კურიკულუმის მიღმა ღონისძიებებისა და აქტივობის სახით, რომელიც მიმართულია დოქტორანტის პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარებისკენ;
- უსდ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს დოქტორანტების მხარდამჭერი ღონისძიებები, რომელიც საშუალებას აძლევს დოქტორანტს დაასრულოს სადოქტორო ნაშრომი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;
- უსდ დოქტორანტს საორიენტაციოდ აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამის საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო გამოცემების/ბაზების შესახებ. სახელოვნებო სფეროში ასევე, სახელოვნებო-შემოქმედებით ღონისძიებების (კონცერტი, ფესტივალი, კონკურსი, მასტერ- კლასი, გამოფენა, ბიენალე და სხვა) თაობაზე;
- უსდ პერიოდულობით ახდენს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მაჩვენებლების ანალიზს, რომლის შედეგებიც მიმართულია პროგრამის, რესურსებისა და დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმების განვითარებისაკენ;
- უსდ უზრუნველყოფს დოქტორანტების ინფორმირებას მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1_სტუდენტების შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

3.2 დოქტრანტთა ხელმძღვანელობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს დოქტორანტებს.
- სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს დოქტორანტის ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, ხელმძღვანელობის /თანახელმძღვანელობის განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტები;
- უსდ - ს შემუშავებული აქვს დოქტორანტს, მის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს და უსდ-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების/შეთანხმების ფორმა, რომელშიც განსაზღვრულია ყველა მხარის უფლება-მოვალეობები; დოქტორანტის ხელმძღვანელობა გათვალისწინებულია შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საერთო საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში;
- ხელშეკრულების/შეთანხმების პირობები ხელს უწყობს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას;
- კვლევით პროცესში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტებთან კვლევის/შემოქმედებითი კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა;
- თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- კვლევის სპეციფიკის და საჭიროების გათვალისწინებით, უსდ ხელს უწყობს დოქტორანტის კვლევის/შემოქმედებითი კვლევის პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულების/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის, მათ შორის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის ჩართულობას ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის სტატუსით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობის დაგეგმვისას, უსდ ითვალისწინებს ხელმძღვანელების დატვირთვას, დოქტორანტთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს, პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- უსდ შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისა და დოქტორანტთა რაოდენობის თანაფარდობის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეფექტურად განხორციელებას;
- უსდ - ს მიერ განსაზღვრული თანაფარდობა ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის არ აღემატება - 1:3-ს, ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი

დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნაშრომის წარდგენის მიზნით. აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე;

- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის შეფასების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის/ თანახელმძღვანელობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - **ნაშრომების ხელმძღვანელები /**დოქტორანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2_დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი. დაწესებულებამ პროგრამის განხორციელებაში, არსებობის შემთხვევაში, ასევე უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/ სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას;
- უსდ ხელს უწყობს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის მონაწილეობას;
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე აქვს სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში და არის დაწესებულების აფილირებული აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[4]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი

[4] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

			დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[5]	
სულ აკადემიური პერსონალი	**32**	**8**	**8**	**27**
- პროფესორი	13	6	6	10
- ასოცირებული პროფესორი	18	1	1	17
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	-	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_
მათ შორის საერთაშორისო პერსონალი	-	-	-	-

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები ადასტურებს, რომ პროგრამას გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის საკმარისი რესურსი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განსახორციელებლადპროგრამის განხორციელებაში ჩართულია 32 აკადემიური პირი, მათ შორის 13 პროფესორი, 18 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი. პერსონალის 100%-ს აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პერსონალის აბსოლუტური უმრავლესობის კვალიფიკაცია დაკავშირებულია ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის, ფინანსების, მენეჯმენტის, მარკეტინგისა და აგრობიზნესის სფეროებთან. ტრანსფერული და მეთოდოლოგიური კომპონენტების განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი მომიჯნავე სფეროების კვალიფიციური პერსონალიც, რაც გამომდინარეობს აღნიშნული სასწავლო კომპონენტების სპეციფიკიდან.სასწავლო კომპონენტის განხორციელებაში უშუალოდ მონაწილეობს 8 აკადემიური პირი — 6 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი, ხოლო კვლევითი კომპონენტის ფარგლებში სამეცნიერო ხელმძღვანელობის რესურსს ქმნის 27 პირი — 10 პროფესორი და 17 ასოცირებული პროფესორი. წარმოდგენილი მონაცემებით, სადოქტორო ნაშრომის 27-ვე პოტენციური ხელმძღვანელი არის დარგობრივი მიმართულების დოქტორის ხარისხის მქონე და ბსუ-სთან აფილირებული აკადემიური პერსონალი. შესაბამისად, პროგრამა მნიშვნელოვნად აჭარბებს სადოქტორო ჩარჩოთი დადგენილ მინიმალურ მოთხოვნას — პროგრამაში მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალის, მათ შორის მინიმუმ 3 პროფესორის ან/და ასოცირებული პროფესორის ჩართულობის შესახებ.პერსონალის კვალიფიკაციის ნაწილშიც წარმოდგენილია მნიშვნელოვანი შესაბამისობა სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებთან. რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის თანახმად, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო სამი წლის განმავლობაში Web of Science და/ან Scopus-ის ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით და აღნიშნული მოთხოვნა პროგრამის განმახორციელებელ მთელ აკადემიურ პერსონალზე ვრცელდება. ამდენად, პროგრამის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება ახალი სადოქტორო ჩარჩოს მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კომპეტენცია უნდა დასტურდებოდეს ბოლო სამი წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით.

პროგრამის ადამიანური რესურსის რაოდენობრივი მაჩვენებლები აჩვენებს, რომ არსებული პერსონალი უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის, ისე კვლევითი კომპონენტის სათანადოდ განხორციელებას. დოქტორანტურის დებულებით ერთ სამეცნიერო ხელმძღვანელს ერთდროულად შეიძლება ჰყავდეს მაქსიმუმ ორი დოქტორანტი. პროგრამაზე არსებული 27 კვალიფიციური ხელმძღვანელის შემთხვევაში ხელმძღვანელობის მაქსიმალური შესაძლებლობა შეადგენს 54

[5] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

დოქტორანტს, მაშინ როდესაც პროგრამაზე აქტიური სტატუსით ირიცხება მხოლოდ 16 დოქტორანტი. შესაბამისად, ერთ ხელმძღვანელზე საშუალოდ მოდის დაახლოებით 0.6 აქტიური დოქტორანტი, ხოლო ხელმძღვანელობის არსებული რესურსის დატვირთვა დაახლოებით 30%-ია.აღნიშნული თანაფარდობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მიმდინარე პროცესის უზრუნველყოფის, არამედ პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისითაც — პროგრამას გააჩნია მნიშვნელოვანი სარეზერვო ადამიანური რესურსი დოქტორანტთა რაოდენობის შესაძლო ზრდის შემთხვევაშიც.ამასთან, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამის აკადემიური პერსონალის გადინება არ დაფიქსირებულა; პირიქით, გაიზარდა ასოცირებულ პროფესორთა რაოდენობა. ეს მიუთითებს აკადემიური რესურსის სტაბილურობასა და პროგრამის განხორციელების უწყვეტობისათვის ხელსაყრელ პირობებზე.

აქტიური დოქტორანტების რაოდენობისა და პერსონალის თანაფარდობის გათვალისწინებით, პერსონალის გადატვირთვის ან ადამიანური რესურსის რაოდენობრივი დეფიციტის ნიშნები წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ იკვეთება. პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი. ორივე მათგანის კვალიფიკაცია, აკადემიური და სამეცნიერო გამოცდილება შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის სფეროსთან და ქმნის პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარებისათვის სათანადო პროფესიულ საფუძველს. პროგრამის ერთი ხელმძღვანელი არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის მიმართულებით. მისი სამეცნიერო ინტერესები მოიცავს რეგიონულ ეკონომიკას, ფისკალურ ავტონომიასა და ფედერალიზმს, ეკონომეტრიკულ და ეკონოფიზიკურ მოდელებს, ეკონომიკურ ტრანსფორმაციასა და შედარებით რეგიონალიზმს. მას გააჩნია ხანგრძლივი აკადემიური და საგანმანათლებლო მართვის გამოცდილება: სხვადასხვა პერიოდში იყო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ხოლო ამჟამად ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. მისი ბოლო წლების სამეცნიერო საქმიანობაც აქტიურია და პროგრამის სფეროსთან უშუალო კავშირშია. 2024–2026 წლებში მის პუბლიკაციებში წარმოდგენილია ეკონომიკის, ფინანსების, მდგრადი განვითარების, ბიზნეს-მოდელების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და რისკების მართვის საკითხები. მას ასევე აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის Erasmus+ პროექტებში კვლევის ეთიკისა და უმაღლეს განათლებაში თანამედროვე უნარების განვითარების მიმართულებით. CV-ის მიხედვით, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელობაში იგი 2019 წლიდან არის ჩართული.

პროგრამის მეორე ხელმძღვანელი არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი და მისი სამეცნიერო ინტერესების ძირითადი მიმართულებებია ბიზნესი, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა და ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება. მისი პროფესიული ბიოგრაფია აჩვენებს ხანგრძლივ აკადემიურ, სამეცნიერო და მენეჯერულ გამოცდილებას. იგი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ბსუ-ში პროფესორის პოზიციაზე, ხელმძღვანელობდა ეკონომიკური პოლიტიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების აკადემიურ სტრუქტურებს და 2018–2021 წლებში იყო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. მას ასევე აქვს მნიშვნელოვანი პრაქტიკული მენეჯერული გამოცდილება, მათ შორის საბანკო სექტორსა და საჯარო მმართველობაში, რაც ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის პროფილისთვის დამატებით პრაქტიკულ ღირებულებას ქმნის. მისი ბოლო წლების სამეცნიერო საქმიანობა მოიცავს ბიზნესის განვითარების, კონკურენტუნარიანობის, SME-ების, მდგრადი განვითარების, სასურსათო უსაფრთხოებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს. მის CV-ში წარმოდგენილია როგორც 2023–2025 წლების სამეცნიერო პუბლიკაციები, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში აქტიური მონაწილეობა. გარდა ამისა, იგი მონაწილეობს სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, რაც ადასტურებს მის მიმდინარე კვლევით აქტივობას.

შესაბამისად, ორივე პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისათვის აუცილებელი ცოდნა, შესაბამისი დარგობრივი და კვლევითი კომპეტენცია და მრავალწლიანი აკადემიური გამოცდილება. ამასთან, მათი გამოცდილება გარკვეულწილად ურთიერთშემავსებელია: პროგრამის ერთი ხელმძღვანელის პროფილი განსაკუთრებით ძლიერია ხარისხის უზრუნველყოფის, საგანმანათლებლო პროგრამების მართვის, ფინანსებისა და თანამედროვე კვლევითი მიმართულებების თვალსაზრისით, ხოლო მეორე ხელმძღვანელის გამოცდილება მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების, სახელმწიფო რეგულირების, აკადემიური ხელმძღვანელობისა და პრაქტიკული მენეჯმენტის მნიშვნელოვან კომპონენტებს. ერთობლივად ეს ქმნის პროგრამის აკადემიური და სამეცნიერო ხელმძღვანელობის მდგრად საფუძველს.

რაც შეეხება პროგრამაში უცხოური/საერთაშორისო პერსონალის ჩართულობას - ამ ინდიკატორთან მიმართებით სურათი შედარებით განსხვავებულია. წარმოდგენილი ხელმძღვანელების რაოდენობრივი მონაცემებით, სამეცნიერო ხელმძღვანელთა შორის საერთაშორისო პერსონალი ამ ეტაპზე არ არის წარმოდგენილი; ასევე არ ფიქსირდება მოწვეული ან სამეცნიერო პერსონალი ამ კონკრეტულ რაოდენობრივ ჩამონათვალში. თუმცა სადოქტორო ჩარჩოს ინდიკატორები არ ადგენს სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას და მოითხოვს, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობდეს უცხოური უნივერსიტეტების/კვლევითი ცენტრების პერსონალის ან ემერიტუსების მონაწილეობას. ამ მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ უნივერსიტეტმა კვლევის ინტერნაციონალიზაცია განსაზღვრა ერთ-ერთ პრიორიტეტად, მათ შორის საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან და კვლევით ქსელებთან თანამშრომლობის, საერთაშორისო პუბლიკაციებსა და კონფერენციებში მონაწილეობისა და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ხილვადობის ზრდის გზით.ამასთან, 2025 წლის აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაცია აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების, თანამედროვე სწავლების მეთოდების, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების შესახებ შემდგომი მონიტორინგის ფარგლებში შესრულებულად იქნა შეფასებული.შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის საწინააღმდეგო გარემოება არ იკვეთება, თუმცა პროგრამის უშუალო განხორციელებაში უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ჩართულობის ზრდა შეიძლება ჩაითვალოს განვითარების შესაძლებლობად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა;
- პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები](#)

- არ არის

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- სასურველია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის შემდგომი გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა გააფართოოს უცხოური უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის უშუალო ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში, მათ შორის სასწავლო, კვლევით, თანახელმძღვანელობის ან სხვა შესაბამის აკადემიურ აქტივობებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

4.2 დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში

თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ-ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქვს შესაბამის სფეროში აკადემიური ხარისხი, აქვს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა), ასევე აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, დოქტორანტის ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- დოქტორანტის ხელმძღვანელი, ასევე რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელმძღვანელი, წარმოადგენს დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხის მქონე უსდ-ს აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან/და სამეცნიერო პერსონალს. აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე;
- დოქტორანტის ხელმძღვანელს აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირი (ერთობლივი კვლევები/გრანტები/პროექტები, სამეცნიერო ასოციაციები/კავშირები/ საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებები);
- თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს;
- უსდ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისთვის პერიოდულად უზრუნველყოფს იმგვარი ღონისძიებების (ტრენინგი, სემინარი, სამუშაო შეხვედრა და სხვა) განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს ხელმძღვანელობის ეფექტურ განხორციელებას;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტების ხელმძღვანელების წახალისების მექანიზმები.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**27**	**27**	**27**
- პროფესორი	10	10	10
- ასოცირებული პროფესორი	17	17	17

- ასისტენტ-პროფესორი	_	_	_
მოწვეული პერსონალი	_	_	_
სამეცნიერო პერსონალი	_	_	_
მათ შორის საერთაშორისო პერსონალი	_	_	_

ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით დეტალურად არის განსაზღვრული სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დოქტორანტის ძირითად სამეცნიერო ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს შესაბამისი დარგის/მიმართულების ბსუ-სთან აფილირებული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ან ბსუ-ს ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი. თანახელმძღვანელის შემთხვევაში წრე უფრო ფართოა და მოიცავს როგორც ბსუ-ს პერსონალს, ასევე საქართველოს ან უცხოეთის სხვა ავტორიზებული უნივერსიტეტის/სამეცნიერო დაწესებულების შესაბამის პერსონალს და დოქტორის ხარისხის მქონე პირს, რომელსაც შესაბამის დარგში სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილება გააჩნია.განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დებულება ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის კვალიფიკაციას პირდაპირ უკავშირებს დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას. მათი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამის სფეროში Web of Science, Scopus ან, შესაბამის შემთხვევაში, ERIH PLUS-ში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით. ამასთან, ბსუ დამატებით ითხოვს ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობას. ამდენად, ფორმალურად დადგენილი მოთხოვნები სრულად ფარავს და გარკვეულ ნაწილში აღემატება კიდეც სადოქტორო ჩარჩოს ინდიკატორებს.

დებულება ასევე ადგენს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან გავლილი ჰქონდეს შესაბამისი ტრენინგი, სემინარი ან პროფესიული განვითარების კურსი, ან გააჩნდეს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გამოცდილება ერთობლივი კვლევების, გრანტებისა თუ სამეცნიერო პროექტების სახით. ეს მოთხოვნა უზრუნველყოფს არა მხოლოდ ფორმალური აკადემიური ხარისხის, არამედ კვლევითი და ხელმძღვანელობითი კომპეტენციის გათვალისწინებასაც.პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით, სამეცნიერო ხელმძღვანელობის უფლება აქვს 27 პირს — 10 პროფესორსა და 17 ასოცირებულ პროფესორს; ყველა მათგანი არის დარგობრივი მიმართულების დოქტორის ხარისხის მქონე და ბსუ-სთან აფილირებული აკადემიური პერსონალი. წარმოდგენილი ანალიზის თანახმად, ეს 27 პირი აკმაყოფილებს დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დებულებაში კარგად არის ასახული პრინციპი, რომ ხელმძღვანელის პუბლიკაცია უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას, რაც ახალი სადოქტორო ჩარჩოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. ამასთან, პროგრამაზე კვლევითი პროექტების თემატიკა წინასწარ განისაზღვრება სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელებთან/თანახელმძღვანელებთან ერთად, ხოლო წარმოდგენილი პროექტები პროგრამის კონცეფციის აქტუალურ კვლევით მიმართულებებს უკავშირდება.დოქტორანტურის დებულება ხელმძღვანელს აკისრებს საკმაოდ ფართო ფუნქციებს. იგი დოქტორანტს რეგულარულად უწევს კონსულტაციას კვლევის დიზაინისა და პროექტის მენეჯმენტის, კვლევის მეთოდოლოგიის, პროფესიული განვითარების, დისერტაციის წერის, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში ინტეგრაციის, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალებში პუბლიკაციების მომზადების საკითხებზე. აღნიშნული ასევე დადასტურდა ინტერვიუების დროს, როგორც ხელმძღვანელებთან, ასევე დოქტორანტებსა და კურსდამთავრებულებთან.

პროგრამაში ჩართული პერსონალის კვლევითი აქტივობის საერთო მაჩვენებლებიც მიუთითებს აქტიურ სამეცნიერო გარემოზე: დოკუმენტაციით ბოლო ხუთწლიანი პერიოდისათვის წარმოდგენილია 30 საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომი, 12 საერთაშორისო კონფერენციაზე მოხსენება და 5 განხორციელებული გრანტი. შესაბამისად, პროგრამის დონეზე იკვეთება ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირებისა და კვლევითი საქმიანობის სათანადო გამოცდილება.თანახელმძღვანელის მიმართ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები შესაბამისობაშია სადოქტორო ჩარჩოს მოთხოვნასთან. თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური

უნივერსიტეტის/კვლევითი დაწესებულების აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი, ან შესაბამის დარგში სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილების მქონე დოქტორის ხარისხის მქონე პირი. ამასთან, ბოლო სამი წლის შესაბამისი საერთაშორისო ინდექსირებული პუბლიკაციის მოთხოვნა ვრცელდება როგორც ხელმძღვანელზე, ისე თანახელმძღვანელზე.
ეს ქმნის კარგ საფუძველს საერთაშორისო თანახელმძღვანელების ჩართულობისთვისაც, თუმცა პროგრამის რაოდენობრივი მონაცემებით მიმდინარე ხელმძღვანელთა შორის საერთაშორისო პერსონალი არ ფიქსირდება. ამიტომ საერთაშორისო თანახელმძღვანელობის პრაქტიკის გაძლიერება შესაძლებელია ჩაითვალოს პროგრამის განვითარების დამატებით შესაძლებლობად.უნივერსიტეტის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებულია აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობები, მათ შორის ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მიდგომების, ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიანი გამოყენებისა და საგრანტო პროექტების მომზადების მიმართულებით. წინა მონიტორინგის ფარგლებში **შესაბამისი რეკომენდაცია შესრულებულად იქნა შეფასებული.** დოკუმენტაციით დასტურდება, უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტების ხელმძღვანელების წახალისების მექანიზმები. სადოქტორო ხელმძღვანელობა გათვალისწინებულია აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საერთო საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში. ეს მნიშვნელოვანი ინსტიტუციური საფუძველია ხელმძღვანელობის საქმიანობის აღიარებისთვის. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ არსებობს შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო სისტემა, რომელიც პოტენციურ ხელმძღვანელთათვის სადოქტორო კვლევითი პროექტების განხორციელებას და კვლევასთან დაკავშირებულ შემდგომ ღონისძიებების მხარდაჭერას ახდენს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- დოქტორანტურის დებულება;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები]

- არ არის

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.2 დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი

4.4. მატერიალური რესურსი

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით (სამეცნიერო ლაბორატორია, კომპიუტერული რესურსი, საინფორმაციო რესურსი, ციფრული რესურსი, დოქტორანტთა ინდივიდუალური სამუშაო სივრცეები და სხვა), რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის;

- დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც აძლევს მათ საშუალებას, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე სხვა ნებისმიერი ლოკაციიდან, ჰქონდეთ წვდომა და გაეცნონ კვლევის სფეროს შესაბამის სამეცნიერო რესურსებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;
- უსდ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით, ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის გაზიარებას, როგორც დაწესებულებაში, ასევე მის გარეთ, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის;
- უსდ მუდმივად ზრუნავს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის ინფრასტრუქტურის განახლებასა და განვითარებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური, საინფორმაციო, კომპიუტერული და ციფრული რესურსებით. ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა დოქტორანტებისთვის შესაბამისი ინდივიდუალური სამუშაო სივრცეების, კომპიუტერული და ციფრული რესურსების ხელმისაწვდომობა, რაც მათ საშუალებას აძლევს სათანადოდ განახორციელონ როგორც სასწავლო, ისე ინდივიდუალური კვლევითი საქმიანობა. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კვლევითი საქმიანობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპიუტერული, ანალიტიკური და საინფორმაციო რესურსები. პროგრამის კვლევითი მიმართულებები მოიცავს ბიზნესის განვითარების, საწარმოო რესურსების ტრანსფორმაციისა და საინვესტიციო გარემოს, ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების, გლობალიზაციისა და ეროვნული ბიზნესის განვითარების საკითხებს. ამასთან, სასწავლო კომპონენტებში გათვალისწინებულია ისეთი ანალიტიკური პროგრამების გამოყენება, როგორიცაა SPSS და EViews, ხოლო შესაბამისი სასწავლო მასალები განახლებულია. შესაბამისად, არსებული მატერიალური და ტექნიკური რესურსები რელევანტურია პროგრამის კვლევითი პროფილისა და სწავლის შედეგებისთვის.

დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსები, ნაბეჭდი და ელექტრონული სასწავლო გამოცემები და შესაბამისი სასწავლო მასალები. წინა აკრედიტაციის პროცესში 4.4 კომპონენტის ფარგლებში გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, „ჰენდაუთები“ და სხვა მასალები ხელმისაწვდომი ყოფილიყო როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, წიგნები და ნაბეჭდი და ელექტრონული სასწავლო გამოცემები განთავსებულია ბიბლიოთეკაში, ხოლო განახლებადი „ჰენდაუთები“ ხელმისაწვდომია შესაბამის დეპარტამენტებში. ამასთან, წინა რეკომენდაციის შესრულების შემდგომი შეფასების ფარგლებში აღნიშნული რეკომენდაცია **შესრულებულად იქნა მიჩნეული**.

დამატებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის ფარგლებში, აკადემიური პერსონალის ჩართულობით ქართულ ენაზე მომზადდა და გამოიცა ნაშრომი „კვლევის მენეჯმენტი: ევროპა და მის ფარგლებს გარეთ“. პუბლიკაცია წარმოადგენს დოქტორანტებისთვის მნიშვნელოვან რესურსს კვლევის პოლიტიკის, კვლევითი სტრატეგიისა და კვლევის მენეჯმენტის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.

ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა დოქტორანტებისთვის საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო და სამეცნიერო ბაზებზე დისტანციური წვდომის შესაძლებლობაც. ამდენად, დოქტორანტებს შესაბამის სამეცნიერო რესურსებზე წვდომა აქვთ როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ისე სხვა ლოკაციიდან, რაც სრულად პასუხობს სადოქტორო პროგრამის შესაბამის ინდიკატორს.

აკრედიტაციის ვიზიტისა და ინტერვიუების ფარგლებში ასევე დადასტურდა კვლევითი ინფრასტრუქტურის გაზიარების პრაქტიკა, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე შესაბამის გარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინსტიტუციებთან თანამშრომლობის ფარგლებში. შესაბამისად, უზრუნველყოფილია დოქტორანტების შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში ისარგებლონ არა

მხოლოდ უშუალოდ პროგრამის ფარგლებში არსებული, არამედ სხვა ხელმისაწვდომი კვლევითი რესურსებითაც.
წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია ასევე მიუთითებს უნივერსიტეტის მიერ რესურსების განვითარებისა და განახლების პრაქტიკაზე. ეს გამოიხატება როგორც სასწავლო კურსების ლიტერატურისა და ელექტრონული მასალების განახლებაში, ისე ახალი სამეცნიერო და მეთოდოლოგიური რესურსების შექმნაში. განახლებულია, მათ შორის, „აკადემიური წერის“, „კვლევის ხერხები და მეთოდების“, „მეცნიერებისა და კვლევის მენეჯმენტის“, SPSS-ისა და EViews-ის გამოყენებაზე ორიენტირებული სასწავლო კომპონენტების რესურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები;
- მონიტორინგის ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.4. მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისათვის დოქტორანტის მხარდამჭერ და დაფინანსების მექანიზმებს;
- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური და/ან სამეცნიერო პერსონალის მიერ კვლევების განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ფინანსური მხარდაჭერის წყაროებს/მექანიზმებს, მათ შორის სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნების, სამეცნიერო კონფერენციებში, სამეცნიერო მივლინებებში, კვლევით/შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის, მონოგრაფიების გამოცემისთვის და სხვა სამეცნიერო-კვლევითი,

შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობებისთვის საჭირო ფინანსური ხარჯების დაფინასებას;

- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტური განხორციელების მიზნით, ითვალისწინებს სამეცნიერო- კვლევითი/სახელოვნებო ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- უსდ ხელს უწყობს გარე დაფინანსების წყაროების მოძიებას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიზნობრივი კვლევების განხორციელებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამისთვის წარმოდგენილია ცალკე ბიუჯეტი, რომელიც აგებულია 3 დოქტორანტის გათვლაზე. ერთი სტუდენტის წლიური სწავლის საფასური შეადგენს 5,070 ლარს, შესაბამისად, სამი სტუდენტიდან დაგეგმილი მთლიანი შემოსავალი შეადგენს 15,210 ლარს.

ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებასთან უშუალოდ დაკავშირებული ძირითადი ხარჯები: აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება - 9,690 ლარი, მათ შორის საათობრივი ანაზღაურება - 4,590 ლარი და სამი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობის ანაზღაურება - 5,100 ლარი; სადისერტაციო ნაშრომების საერთაშორისო რეცენზირება - 1,200 ლარი; სადისერტაციო საბჭოში ნაშრომების შეფასება და საჯარო დაცვა - 1,800 ლარი; ხოლო ზედნადები ხარჯები - 2,520 ლარი. საერთო ხარჯი შეადგენს 15,210 ლარს.

ეს მიუთითებს, რომ წარმოდგენილი კონტინგენტის პირობებში პროგრამის ძირითადი ხარჯები სრულად არის დაფარული და პროგრამის განხორციელება ეკონომიკურად მიღწევადია. ამავე დროს, ბიუჯეტი დაგეგმილია ზუსტად თვითდაფინანსების დონეზე და არ ქმნის ფინანსურ რეზერვს, რაც პროგრამის ფინანსური მდგრადობის შეფასებისას გასათვალისწინებელი გარემოებაა.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რომ ბიუჯეტი არ შემოიფარგლება მხოლოდ სასწავლო კურსების განხორციელების ხარჯებით. მასში პირდაპირ არის გათვალისწინებული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობის, სადისერტაციო ნაშრომის საერთაშორისო რეცენზირების, ასევე სადისერტაციო საბჭოში შეფასებისა და საჯარო დაცვის ხარჯები. შესაბამისად, სადოქტორო კვლევის განხორციელებისა და ხარისხის მინიჭების პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპები ფინანსურად უზრუნველყოფილია.

ამასთან, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პოლიტიკა ინსტიტუციურად ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობას, ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერას, კვლევის ინტერნაციონალიზაციასა და კვლევის კულტურის განვითარებას. თუმცა უშუალოდ პროგრამის ბიუჯეტის დანართში არ ჩანს დოქტორანტის კვლევის სხვა შესაძლო პირდაპირი ხარჯები, მაგალითად საველე/ემპირიული კვლევა, მონაცემთა მოპოვება, საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა, სამეცნიერო მივლინება ან საერთაშორისო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება.

დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტზე მოქმედებს პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის პრაქტიკა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ინტერვიუების ფარგლებში აღინიშნა ფაკულტეტის აქტიური მუშაობა პერსონალის ნაშრომების Web of Science-სა და Scopus-ში ინდექსირებულ ჟურნალებსა და საკონფერენციო მასალებში გამოქვეყნების ხელშეწყობის მიმართულებით, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერის გზით. ამ პრაქტიკის შედეგიანობას გარკვეულწილად ადასტურებს პროგრამაში ჩართული პერსონალის კვლევითი მაჩვენებლებიც: ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წარმოდგენილია 30 საერთაშორისო პუბლიკაცია, 12 საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობა და 5 განხორციელებული გრანტი. ამდენად, ინსტიტუციურ დონეზე კვლევითი აქტივობების ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმის არსებობა იკვეთება.

წარმოდგენილ პროგრამის ბიუჯეტში კვლევითი ინფრასტრუქტურის განახლების ან განვითარების ცალკე ხარჯვითი მუხლი არ არის წარმოდგენილი. როგორც ინტერვიუების დროს აღინიშნა, გარკვეული რესურსები ფინანსდებოს საერთო საუნივერსიტეტო ან ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ განხორციელებული გრანტები ასევე მიუთითებს გარე დაფინანსების მოზიდვის გამოცდილებაზე. გარდა ამისა, პროგრამაში ჩართული პერსონალის საქმიანობაში იკვეთება ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობაც, მათ შორის Erasmus+ DeSIRe და ETHICS პროექტებში. ეს ქმნის მტკიცებულებას, რომ ინსტიტუციაში არსებობს გარე დაფინანსებაზე ორიენტირებული კვლევითი და საერთაშორისო

პროექტების გამოცდილება.საბოლოოდ, პროგრამის ბიუჯეტი უზრუნველყოფს მისი ძირითადი სასწავლო და სადოქტორო პროცესების ფინანსურ დაფარვას და დაგეგმილი კონტინგენტის პირობებში შემოსავლები სრულად ფარავს ხარჯებს. უნივერსიტეტში ასევე დასტურდება სამეცნიერო კვლევებისა და საერთაშორისო პუბლიკაციების ფინანსური მხარდაჭერისა და გარე საგრანტო პროექტებში მონაწილეობის პრაქტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, რესურსების, დოქტორანტის მხარდამჭერი მექანიზმების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება სადოქტორო პროგრამის, უსდ-ს საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ფასდება პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობა და შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას სადოქტორო პროგრამისა და კვლევითი გარემოს გაუმჯობესების მიზნებისთვის;
- სადოქტორო პროგრამის განვითარების მიზნით, სადოქტორო პროგრამის განხორციელების შეფასებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (დოქტორანტი, კურსდამთავრებული, პერსონალი, დოქტორანტის ხელმძღვანელი/ თანახელმძღვანელი, დამსაქმებელი და სხვა).

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

5.2. გარე ხარისხის შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და

შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის



ეკა ლეკაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

თამთა ლეკიშვილი

